



გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები

პოლიტიკის დოკუმენტი
ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“

პრინციპები ქართულად ითარგმნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ.

სარჩევი:

შესავალი	2
პრეამბულა.....	4
ძირითადი ტერმინების განმარტება	6
ნაწილი 1. ზოგადი პრინციპები პრინციპი 1. უფლებათა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო.....	10
პრინციპი 2. დაშვებული შეზღუდვების ლიმიტირებული ფარგლები.....	11
პრინციპი 3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის ლეგიტიმური მიზანი	12
ნაწილი 2. გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ურთიერთ აღსრულებადი უფლებები.....	13
პრინციპი 4: კომუნიკაციის მიყურადება.....	13
პრინციპი 5: მონაცემთა სავალდებულო შენახვა	14
პრინციპი 6: ანონიმურობა, მომხმარებლის სავალდებულო რეგისტრაცია და ნამდვილი ვინაობის მოთხოვნები.....	14
პრინციპი 7: კოდირება	15
პრინციპი 8. კერძო კომპანიების მიერ მონაცემთა გაცემა	16
პრინციპი 9: წყაროთა დაცვა.....	16
პრინციპი 10: მონაცემთა მოძიება და ამოღება.....	17
პრინციპი 11: მონაცემთა ტრანს-სასაზღვრო მიმოქცევა	18
ნაწილი 3: გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა	18
პრინციპი 12: პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება.....	18
პრინციპი 13: საჯარო პირები	20
პრინციპი 14: გამჭვირვალე მართლმსაჯულება	21
ნაწილი 4: გამოხატვის თავისუფლებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა	22
პრინციპი 15: საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დაცვა.....	22
პრინციპი 16: პიროვნების მიერ გამოქვეყნებული და მისი ავტორობით შექმნილი მონაცემების წაშლის მოთხოვნა.....	23
პრინციპი 17: მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების წაშლის მოთხოვნა	24
პრინციპი 18: საძიებო შედეგებიდან ამოღების მოთხოვნა	24

პრინციპი 19: გათავისუფლება მონაცემების დაცვის მოთხოვნისგან.....	26
ნაწილი 5: ინფორმაციის თავისუფლების, მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების შეჯერება	27
პრინციპი 20: ზოგადი პრინციპები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ	27
პრინციპი 21: თანამდებობის პირების პერსონალური ინფორმაციის მაქსიმალური გასაჯაროება	27
პრინციპი 22: ოფიციალური ჩანაწერები	28
ნაწილი 6: დარღვეულ უფლებათა აღდგენის საშუალებები და სანქციები	29
პრინციპი 23: ზოგადი პრინციპები	29
პრინციპი 24: სისხლის სამართლის სასჯელი	30
პრინციპი 25: ფულადი ანაზღაურება	30
პრინციპი 26: წინასწარი შეზღუდვა, ამკრძალავი ორდერის საიდუმლოება, სავალდებულო წინასწარი მოდერაცია და შეტყობინება გამოქვეყნების წინ.....	31
პრინციპი 27: შუალედური ამკრძალავი ორდერები	31
პრინციპი 28: ამკრძალავი ორდერების დაბლოკვა	32
პრინციპი 29: შუამავლობითი ვალდებულება და შინაარსის ამოღება.....	32
პრინციპი 30: სრული აკრძალვა ინტერნეტთან წვდომაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოტივით	33
წინასიტორია	33

შესავალი

გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ურთიერთ აღსრულებადი ცნებებია, განსაკუთრებით კი მიმდინარე ციფრულ ეპოქაში. ორივე მათგანი დემოკრატიული საზოგადოების, მისი პროგრესისა და ყოველი ინდივიდის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. დემოკრატიის, ანგარიშვალდებულებისა და კარგი მმართველობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გამოხატვისა და აზრის თავისუფლების დაცვა და პატივისცემა. იგივე შეიძლება ითქვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, რომელიც თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფო და კორპორატიული ძალაუფლების წინააღმდეგ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

თუ გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი კულტურული გამოხატვისთვის, შემოქმედებითობა და ინოვაცია, ისევე როგორც თვითგამოხატვის გზით პიროვნული განვითარება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა აუცილებელია

ინდივიდუალური ავტონომიის, საკუთარი თავის შეცნობისა და სხვებთან ურთიერთობის პროცესის ხელშეწყობისთვის.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ასევე წარმოადგენს წინაპირობას გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის, განსაკუთრებით ონლაინ. პირადი ცხოვრების გარეშე ინდივიდებს წაერთმეოდათ სივრცე აზროვნებისთვის, მესამე პირთა ჩარევის გარეშე საკუთარი აზრის გამოხატვისთვის და საკუთარი ხმის გაჟღერებისთვის. გამოხატვის თავისუფლების გარეშე ინდივიდებს არ ექნებოდათ საკუთარი თავის შეცნობის შესაძლებლობა. აღნიშნული უფლებების დაცვის ცენტრში არის პიროვნების პატივისა და ღირსების, ისევე როგორც მისი შესაძლებლობის დაცვა და პატივისცემა, თავისუფლად დაამყაროს კომუნიკაცია სხვებთან.

ამავდროულად კონკრეტული ინდივიდის გამოხატვის თავისუფლებამ შესაძლებელია შეზღუდოს სხვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პირიქით. აღნიშნულ დაპირისპირებას ამწვავებს ციფრული ტექნოლოგიები. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები წარმოადგენენ ცენტრალურ ასპექტს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ხელშეწყობისა და ინფორმაციის გაზიარებისთვის, ხსენებულმა ასევე მანამდე წარმოუდგენელი მასშტაბით გაზარდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შესაძლებლობები. კერძოდ, ციფრული ტექნოლოგიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან საფრთხეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მასთან დაკავშირებული უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფისთვის. პერსონალური მონაცემები სახელმწიფოებისა და კერძო კომპანიებისთვის მინიმალურ ფასად შესაძლებელია შეგროვდეს და წარმოუდგენელი მასშტაბით გახდეს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის საზღვრებს მიღმა. ამავდროულად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სხვა მექანიზმებმა შესაძლებელია იქონიონ არაპროპორციული ეფექტი გამოხატვის თავისუფლებით ლეგიტიმურ სარგებლობაზე.

მოცემული პრინციპები ჩამოყალიბდა გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთობლივი აღსრულების გზების შეფასების სისტემური ანალიტიკური ჩარჩოს წარმოდგენისა და აღნიშნულ უფლებებს შორის კონფლიქტის დროს მათი შეზღუდვის დასაშვები ფარგლების განსაზღვრისთვის, როგორც ინტერნეტში (ონლაინ) ისე ინტერნეტს მიღმა (offline). კერძოდ, აღნიშნული პრინციპები მიზნად ისახავენ ორივე ფუნდამენტური უფლების ეფექტური დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფას ციფრულ ეპოქაში. როგორც ეს მოცემულ დოკუმენტში იქნება წარმოდგენილი, საერთაშორისო სამართალი მოიცავს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული დაპირისპირების აღმოფხვრას და ორივე უფლებით მაქსიმალურ სარგებლობას. დოკუმენტში განხილული პრინციპები გვთავაზობენ საერთაშორისო სამართლის პროგრესულ ინტერპრეტაციას და მიმოიხილავს ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოხატულ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც დანერგილია სახელმწიფოების დონეზე. მათი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

მოცემული პრინციპები არ უნდა განიმარტოს, როგორც გამომრიცხველი ან განმამტკიცებელი იმ შეზღუდვებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ სხვა უფლებების დაცვას - მათ შორის პატივისა და ღირსების დაცვას დეფამატორული კანონმდებლობის მეშვეობით - რომელიც

საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას და დარეგულირებულია პრინციპთა სრულიად განსხვავებული ნაკრებით.

ჩვენ მიზნად ვისახავთ და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პრინციპები გამოყენებულ იქნება ინდივიდების, აქტივისტების, იურიდიული პრაქტიკის მქონე იურისტების, შუამავლების, მოსამართლეების, წარმომადგენლობით თანამდებობაზე არჩეული პირების, პარლამენტარებისა და საჯარო მოხელეების მიერ მსოფლიოს მასშტაბით იქიდან გამოდინარე, რომ ისინი მიზნად ისახავენ ინფორმაციის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სრული პატივისცემისა და დაცვის უზრუნველყოფას.

პრეამბულა

ჩვენ - ინდივიდები და ორგანიზაციები - რომლებიც ვიცავთ და ვთანხმდებით მოცემულ პრინციპებზე

ვადასტურებთ რა, რომ გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა წარმოადგენენ ღია და დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ საძირკველს და ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს მისი განვითარებისა და ადამიანის სხვა უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა სარგებლობისათვის;

ვითვალისწინებთ რა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის გამოხატვის თავისუფლებით გააზრებული სარგებლობისა და პირადი განვითარების აუცილებელი წინაპირობა;

აღვნიშნავთ რა, რომ კოდირების თუ დაცვის სხვა მექანიზმების გამოყენებით საკუთარი ანონიმურობისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის პირობებში არსებობს ინდივიდების მიერ წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გამოხატვისა და სენსიტიური ინფორმაციის გავრცელების ბევრად მაღალი ალბათობა;

სრულად ვაცნობიერებთ რა, რომ გამოხატვის თავისუფლება არის ინდივიდუალურობისა და იდენტობის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი;

ვითვალისწინებთ რა, რომ გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ურთიერთ აღსრულებადი უფლებებია;

ბაზს ვუსვამთ რა, რომ მიუხედავად აღნიშნულისა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის შესაძლებელია კონკრეტულ გარემოებებში არსებობდეს კონფლიქტი, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება პირადი ცხოვრების დაცვის არგუმენტის შესაბამისი დასაბუთების გარეშე გამოყენება იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინდივიდის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის გასაჯაროება და განხილვა ან იმისთვის რომ საზოგადოება მიზანმიმართულად იყოს შეცდომაში შეყვანილი;

ვალარებთ რა, რომ ამავედროულად პირადი ინფორმაციის შესაბამისი დასაბუთების გარეშე გავრცელებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შელახოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, განსაკუთრებით ამა თუ იმ კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში.

მიზნად ვისახავთ რა, ხელი შევუწყოთ გამოხატვის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის და პატივისცემის ნათელი ჩარჩოს ჩამოყალიბებას იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი კონფლიქტში მოდიან ერთმანეთთან, განსაკუთრებით ონლაინ.

ვითვალისწინებთ რა, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის, ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტიის, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროკავშირის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ქარტიის დებულებებს;

პატივს ვცემთ რა, გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა შესახებ (ე.წ. 'Ruggie Principles'), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო დებულებებს პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების ტრანსსასაზღვრო მიმოქცევის შესახებ, საერთაშორისო პრინციპებს კომუნიკაციის მიყურადებისა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, (აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები), იოჰანესბურგის პრინციპებს ეროვნული უსაფრთხოების, გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, გლობალურ პრინციპებს ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ (ე.წ. 'Tshwane Principles'), პრინციპებს გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ, მანილას პრინციპებს შუამავლობითი პასუხისმგებლობის შესახებ და 2011 წლის 1 ივნისის საერთო დეკლარაციას გამოხატვის თავისუფლებისა და ინტერნეტის შესახებ, ხელმოწერილ გაერთიანებული ერების აზრისა და გამოხატვის თავისუფლების სპეციალური მომხსენებლის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მედია თავისუფლების წარმომადგენლის, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) გამოხატვის თავისუფლების სპეციალური მომხსენებლისა და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული კომისიის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური მომხსენებლის მიერ;

ბაზს ვუსვამთ რა, რომ დაუშვებელია მოცემული პრინციპები განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ დააწესოს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფრო დაბალი სტანდარტი ვიდრე გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებით;

ვიაზრებთ რა, რომ ინფორმაციის თავისუფლება და მონაცემთა გავრცელება წარმოადგენს ანგარიშვალდებულების გაძლიერებისა და კორუფციისგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების, ცოდნის, განვითარებისა და კულტურისადმი წვდომის ხელის შეწყობის მთავარ წინაპირობას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს კაცობრიობის საერთო საგანძურს, რომელიც უნდა იყოს დაცული, შენარჩუნებული და ხელმისაწვდომი ყველასათვის.

ვალდებულ რა, რომ ინტერნეტი წარმოადგენს გლობალურ რესურსს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი ინტერესებისთვის და ვითვალისწინებთ რა, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებით სარგებლობას და ამავდროულად მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენა ყოველი ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა;

ვითვალისწინებთ რა, რომ დიდი მოცულობის მონაცემები მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას და ამავდროულად ხაზს ვუსვამთ რა დიდი მოცულობის მონაცემთა ფართო საზოგადოებისთვის განსაჯაროების პოტენციურ სარგებელს;

აღვნიშნავთ რა, რომ მონაცემთა დაცვა უმნიშვნელოვანესია პერსონალური მონაცემების განკარგვის პროცესში ინდივიდების ჩართულობის უზრუნველყოფისთვის და იმისთვის, რომ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები გასცემდნენ ინფორმაციას მათ მიერ შეგროვებული და შენახული პერსონალური მონაცემების შესახებ, იყენებდნენ კანონისმიერ და სამართლიან გზებს მონაცემთა შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და უსაფრთხოებისთვის და უზრუნველყოფდნენ, რომ კონკრეტული მიზნით შეგროვებული პერსონალური მონაცემების გამოყენება არ მოხდება სხვა მიზნებისთვის;

ვაცნობიერებთ რა, რომ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაძლებელია არასწორად ან ბოროტად იქნეს გამოყენებული, ლეგიტიმური საჯარო ინფორმაციის გავრცელების პრევენციის ან/და შეზღუდვისთვის, იმ მიზნით რომ ინდივიდებს მიეცეთ საკუთარი პატივისა და ღირსების შემლახველი მონაცემების კონტროლის შესაძლებლობა ინფორმაციის თავისუფლების, სიმართლეზე უფლებისა და ფართო საზოგადოების ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე;

მოვუწოდებთ ყველა შესაბამის საერთაშორისო, რეგიონულ, ეროვნულ და ადგილობრივ ორგანოსა და კერძო პირს დაიცვან, ხელი შეუწყონ, პატივი სცენ და გამოიყენონ მოცემული პრინციპები საკუთარი საქმიანობისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ჩვენ ასევე რეკომენდაციით მივმართავთ მათ გამოიყენონ მოცემული პრინციპები და ხელი შეუწყონ მათ გავრცელებას, იმპლემენტაციასა და პატივისცემას ყველა დონეზე.

ძირითადი ტერმინების განმარტება

მოცემული პრინციპების მიზნებისთვის,

ა) ტერმინი *კონფიდენციალური ინფორმაცია* ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის მიმართაც არსებობს „კონფიდენციალურობის ვალდებულება“. კონფიდენციალურობის ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც:

- i. პირადი ინფორმაცია გადაიცა ან გაიცა იმგვარად, რომ ინფორმაციის მიმღებმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას მინიჭებული ქონდა კონფიდენციალურობის სტატუსი; ან

- ii. როდესაც პირადი ინფორმაცია გაიცა ისეთ გარემოებებში, რომლებიც წარმოშობდნენ მოლოდინს, რომ ის კონფიდენციალურად იქნებოდა შენახული.

დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება ან გავრცელება ინფორმაციის სუბიექტის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სახეზეა ინფორმაციის გავრცელების კანონიერი საფუძველი, არსებობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი ან მისი გავრცელების სამართლებრივი დასაბუთება;

ბ) ტერმინი *მონაცემთა მაკონტროლებელი* ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ცალკე ან სხვა პირებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანსა და გზებს;

გ) ტერმინი *პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება* მოიცავს რიგს უფლებებისა, რომლებიც ინდივიდებს (მონაცემთა სუბიექტებს) მინიჭებული აქვთ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობით. აღნიშნული უფლებები მოიცავს, თუმცა არ ამოიწურება შედეგით:

- i. უფლება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მონაცემთა შენახვა და დამუშავება ხორციელდება კანონიერად (მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან სხვა კანონით გათვალისწინებულ საფუძველით), სამართლიანად და უსაფრთხოდ;
- ii. ინდივიდთა უფლება იცოდნენ რა ინფორმაციას ფლობენ მათ შესახებ მონაცემთა მაკონტროლებლები (მონაცემთა ხელმისაწვდომობის უფლება) და რა მიზნით;
- iii. უფლება მოითხოვონ მონაცემთა შესწორება როდესაც მონაცემები არ არის ზუსტი (შესწორების უფლება);
- iv. უფლება მოითხოვონ მონაცემთა წაშლა, როდესაც მათი შენახვა აღარ არის აუცილებელი დაშვებული მიზნისათვის, როდესაც ის არის არარელევანტური ან მოძველებული, როდესაც გამოთხოვილ იქნა თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე და არ არსებობს მისი შენახვის სხვა კანონიერი საფუძველი, როდესაც მონაცემთა დამუშავება განხორციელდა უკანონოდ ან როდესაც ის განსაჯაროვდა შესაბამისი დასაბუთების გარეშე (მონაცემთა ამოღების უფლება);
- v. უფლება პირის პერსონალური მონაცემების მიღებისა ინფორმაციის მაკონტროლებლისგან სერვისის მომწოდებლის შეცვლის მიზნით (მონაცემთა პორტატულობა); და
- vi. უფლება პირისა და თანხმდეს მონაცემთა დამუშავებას კონკრეტული, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგისა და პროფილის განსაზღვრის მიზნებისთვის განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში (უფლება ობიექტზე).

დ) ტერმინი *ინფორმირებული თანხმობა* მონაცემთა დაცვის კონტექსტში გულისხმობს პირის მიერ თავისუფლად გამოხატულ ნებას (რომელიც არ არის მოპოვებული თავისუფლების აღკვეთის პირობებში, იძულების ან თაღლითობის გზით), დაფუძნებულს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის ცოდნასა და გააზრებაზე. თანხმობის მიცემისას ინდივიდი უნდა იყოს ინფორმირებული მონაცემთა დაცვის, დამუშავებისა და გამოყენების მიზნებისა და მონაცემთა დამუშავებაზე უარის თქმის შედეგების შესახებ. თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე უნდა იყოს ნათლად დადასტურებული. იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები არის სენსიტიური ხასიათის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობა სწორედ მოცემული სენსიტიური მონაცემების დამუშავებაზე.

ე) ტერმინი *ჟურნალისტიკა* მიემართება ინფორმაციის რეგულარულად ან პროფესიული მიზნებისთვის შეგროვებასა და გავრცელებას საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით. აღნიშნული მოიცავს, თუმცა არ ამოიწურება ინფორმაციის შეგროვებით (კვლევა, ინტერვიუები ან საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებები) და წარმოებით (წერის, მონაცემთა ანალიზის და ინფორმაციის გადამოწმების ჩათვლით). ის შეიძლება ასევე მოიცავდეს კორექტირებას, საგამომცემლო ან სამაუწყებლო აქტივობებს და სტანდარტების მართვას (მათ შორის თანამშრომელთა ტრენინგები, მენეჯმენტი და ზედამხედველობა);

ვ) ტერმინი *პერსონალური მონაცემი* მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას დაკავშირებულს ინდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან; ინდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი არის ერთი ან რამდენიმე ისეთი ფაქტორით პირდაპირ ან ირიბად იდენტიფიცირებადი ინდივიდი, როგორც არის მისი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მენტალური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური იდენტობა;

ზ) ტერმინი *მაქსიმალური გასაჯაროება* მიემართება პრეზუმციას, რომ საჯარო უწყებათა მიერ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს გასაჯაროვებული და მისი ხელმისაწვდომობა შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში;

თ) ტერმინი *საჯარო ინტერესი* მოიცავს შემთხვევებს, როდესაც საზოგადოებას გააჩნია ინფორმაციისადმი განსაკუთრებული ინტერესი. აღნიშნული მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება სახელმწიფოს ფუნქციონირების, საჯარო პირთა და სახელმწიფო მოხელეთა, პოლიტიკის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, კანონის აღსრულებისა და სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამომხმარებლო და სოციალური ინტერესების, გარემოს, ეკონომიკური საკითხების, ძალაუფლების განხორციელების, ხელოვნების, კულტურის ან ისეთ საკითხთა შესახებ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესის საგანზე;

ი) ტერმინი *საჯარო პირი* ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულ პირს. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფო ლიდერებსა და არჩევით თანამდებობაზე მყოფ წარმომადგენლებს, საჯარო მოხელეებს, ბიზნეს ლიდერებს, საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს (მათ შორის ცნობილ ადამიანებს) ან ინდივიდებს, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს;

კ) ტერმინი *საჯარო დაწესებულება* გულისხმობს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ ან საჯარო უფლება-მოვალეობებსა და

ფუნქციებს, ან არის სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი ან ფუნქციონირებს საჯარო დაფინანსებით;

ლ) ტერმინი *ჩამონათვალიდან ამოღების მოთხოვნა*, გულისხმობს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც პირს აქვს უფლება მოითხოვოს მონაცემების ამოღება მისი სახელის შემცველი ფრაზით მიღებული ძიების შედეგებიდან; აღნიშნული მექანიზმი გამომდინარეობს „მონაცემთა ამოღების უფლებიდან“, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების მიერ და რომელიც ზოგჯერ არასწორად არის წოდებული როგორც „უფლება იყო დავიწყებული“;

მ) ტერმინი *უფლება სიმართლეზე* გულისხმობს პირის უფლებას მოიძიოს, მიიღოს და ქონდეს წვდომა ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ინფორმაციაზე. აღნიშნული წარმოადგენს ისტორიულ კოლექტიურ უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს შორეულ თუ ახლო წარსულში მომხდარი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების განმეორების თავიდან აცილებას. აღნიშნული არის შედეგობრივ კავშირში „ხსოვნის ვალდებულებასთან“, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისტორიის დამახინჯების (ისტორიის გადახედვა და უარყოფა) თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოებს ეკისრებათ შესაბამისი ვალდებულება ხელი შეუწყონ მიმდინარე თუ წარსულ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც დარღვევებს ქონდა მასშტაბური და სისტემური ხასიათი და მნიშვნელოვანია მისი სრული გააზრება საზოგადოების მიერ;

ნ) ტერმინი *სენსიტიური პერსონალური მონაცემები* მოიცავს ფიზიკური პირის რასობრივ და ეთნიკურ წარმომავლობასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან სხვა მსგავსი ხასიათის მრწამსთან, სავაჭრო და სხვა გაერთიანებების წევრობასთან, ფიზიკურ თუ მორალურ ჯანმრთელობასა და მდგომარეობასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვასთან, გენეტიკურ მონაცემებთან, ფიზიკური პირის უნიკალურად იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებად ბიომეტრიულ მონაცემებთან, მონაცემთა სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენასა თუ ბრალდებასთან ან შესაბამის პროცედურებთან, საქმის წარმოებასთან და შეფარდებულ სასჯელთან დაკავშირებულ მონაცემებს;

ო) ტერმინი *საძიებო სისტემა* მიემართება კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც იყენებენ რთულ ალგორითმებს მონაცემთა, ფაილთა და დოკუმენტთა მონაცემთა ბაზებიდან და ქსელიდან ამოღების მიზნით შესაბამისი ძებნის განხორციელების შემთხვევაში. ამოღებული ინფორმაცია, როგორც წესი არის ინდექსირებული და ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით;

პ) ტერმინი *სოციალური მედიის პლატფორმები* გულისხმობს პლატფორმებს, რომელთა გამოკვეთილ ნიშანს წარმოადგენს ინდივიდთა წახალისება დაუკავშირდნენ და დაამყარონ ურთიერთობა სხვებთან და გააზიარონ ინფორმაცია;

ჟ) ტერმინი *მნიშვნელოვანი ზიანი* მოიცავს ფიზიკური ზიანის, მძიმე მენტალური აშლილობისა და ტანჯვის, დაკავებული პოზიციის დაკარგვის და ზარალის რეალურ თუ სუბსტანციურ რისკს. უბრალო უხერხულობა, დისკომფორტი და მოსალოდნელი ბიზნესისა და სამსახურის დაკარგვა არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი ზიანის შემადგენლობის არსებობისთვის.

რ) ტერმინი *ვებ-ჰოსტინგის პროვაიდერები ან პროვაიდერები* მიემართება ორგანიზაციებს (როგორც წესი კერძო კომპანიებს) რომლებიც ქირაობენ სივრცეს ვებ-სერვერზე იმისთვის, რომ საშუალება მისცენ მათ კლიენტებს შექმნან საკუთარი ვებ-გვერდები;

ს) ტერმინი *მოწყვლად ვითარებაში მყოფი პირები* გამოიყენება იმ პირთა განმარტებისთვის, რომელთა მდგომარეობა საზოგადოებაში თუ თემში აყენებს მათ განსაკუთრებული ფიზიკური თუ მორალური ზიანის რისკის წინაშე. მოწყვლად ვითარებაში მყოფი პირები მოიცავს თუმცა არ შემოიფარგლება მცირეწლოვანი, ხანდაზმული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ახლად დაობლებული, მძიმე ავადმყოფობით დაავადებული ან პირებით, რომლებიც არიან დისკრიმინაციის მსხვერპლი საკუთარი სქესის ან სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით.

ნაწილი 1. ზოგადი პრინციპები

პრინციპი 1. უფლებათა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო

სახელწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად კონსტიტუციით ან ექვივალენტი საკანონმდებლო აქტით განმტკიცებულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ინფორმაციის თავისუფლება. ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ ყველას აქვს:

ა) *გამოხატვის თავისუფლება*, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა, ზეპირი, წერილობითი, ბეჭდვითი, ხელოვნების ან ნებისმიერი სხვა გზით მისი სურვილის შესაბამისად. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს უფლებას შეურაცხყო, გააკრიტიკო ან ისაუბრო მესამე პირზე, მათ შორის მათი პირადი ცხოვრების ასპექტებზე, რომლებიც არის საიდუმლო ან ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

ბ) *უფლება ქონდეს საკუთარი მოსაზრება* ყოველგვარი ჩარევისა და შეზღუდვის გარეშე, როგორც ეს განსაზღვრულია პრინციპი 2-ით.

გ) *ინფორმაციის თავისუფლება*, რომელიც მოიცავს ყველას უფლებას მოიძიოს, მიიღოს, გამოიყენოს და მფლობელობაში ქონდეს სახელმწიფო დაწესებულებაში ან მისი სახელით დაცული ინფორმაცია, ან ინფორმაცია რომელიც კანონის შესაბამისად ხელმისაწვდომია სახელმწიფო უწყებებისთვის ან ინახება საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი კერძო პირების მიერ როდესაც აღნიშნული აუცილებელია ნებისმიერი სხვა უფლებით თუ ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობისთვის;

დ) *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება*, რომელიც მოიცავს პირის უფლებას პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელ ადგილს, კომუნიკაციას

და უფლებას კანონის შესაბამისად დაცული იყოს მოცემულ უფლებებში სხვათა მიერ თვითნებური ჩარევისა და დარღვევისგან. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ვრცელდება პერსონალურ იდენტობასთან დაკავშირებულ ისეთ ასპექტებზე როგორც არის სახელი, გამოსახულება, ფიზიკური და მორალური მდგომარეობა და მიზნად ისახავს უზრუნველყოს პიროვნული განვითარება სხვებთან ურთიერთობის პროცესში მესამე პირთა ჩარევის გარეშე!¹

ე) *პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება*, რომელიც შესაძლებელია გამომდინარეობდეს და მიემართებოდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და რომელიც არეგულირებს სახელწიფო თუ კერძო პირთა მიერ ფიზიკურ პირთა შესახებ, კერძო თუ საჯარო ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვის და ელექტრონულად წარმოების გზებს. პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონის შესაბამისად და სამართლიანად კონკრეტული მიზნით მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებული თანხმობით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის არსებობისას. მოცემული პრინციპით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის პრინციპისთვის ზიანის მიყენების გარეშე, პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს სუბიექტის თანხმობის გარეშე თუ ინფორმაცია არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ყველას უნდა ქონდეს წვდომა მონაცემთა მაკონტროლებლების მიერ მათ შესახებ დაცულ ინფორმაციაზე და უფლება მოითხოვოს ინფორმაციის შესწორება ან წაშლა.

პრინციპი 2. დაშვებული შეზღუდვების ლიმიტირებული ფარგლები

2.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული კონსტიტუციური თუ საკანონმდებლო აქტებით არაორაზროვნად არის დარეგულირებული აღნიშნული პრინციპებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლები. სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ ამგვარი შეზღუდვები შესაძლებელია გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი:

ა) *გათვალისწინებულია კანონით*: ნებისმიერ შეზღუდვას უნდა ქონდეს ფორმალური ხასიათი განმტკიცებული კანონით, რომელიც არის ყველასთვის ხელმისაწვდომი და ფორმულირებულია საკმარისი სიზუსტით, იმისთვის რომ საშუალება მისცეს ინდივიდებს განსაზღვრონ კონკრეტული ქმედება ეწინააღმდეგება თუ არა კანონის მოთხოვნებს და შეაფასონ კანონი მოთხოვნათა დარღვევის შესაძლო შედეგები;

ბ) *ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს*: სახელმწიფომ უნდა ცხადჰყოს, რომ ნებისმიერ შეზღუდვას აქვს ჭეშმარიტი მიზანი და ის მნიშვნელოვანი ეფექტს ახდენს საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპების, მათ შორის სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე;

¹ მოცემული პირობები არ უნდა იქნეს გამოყენებული, სახელმწიფოთა შეზღუდვისთვის უზრუნველყონ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა სრული დაცვა.

გ) აუცილებელი და პროპორციულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის: ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებელი და პროპორციულია დემოკრატიულ საზოგადოებაში თუკი ის წარმოადგენს კონკრეტული ინტერესის დაცვის ყველაზე ნაკლებად შემზღუდველ საშუალებას; და

დ) დაუმჯობესებელია საკუთარი მოსაზრების ქონის უფლების შეზღუდვა (გათვალისწინებული პრინციპით 1.ბ).

2.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს საკმარის გარანტიებსა და დარღვეულ უფლებათა აღდგენის მექანიზმებს, რომელიც სხვათა შორის მოიცავს დამოუკიდებელი სასამართლოს, ტრიბუნალის ან მართლმსაჯულების განმახორციელებელი სხვა ორგანოს მიერ საქმის სწრაფ, სიღრმისეულ და ამომწურავ განხილვას.

2.3. სახელმწიფოები არა მარტო უნდა მოერიდონ მოცემული პრინციპებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, არამედ ამასთან ეკისრებათ მათი დაცვის, მათ შორის მესამე პირთა ჩარევისგან დაცვის, პოზიტიური ვალდებულება.

2.4. კერძო პირებმა პატივი უნდა სცენ მოცემული პრინციპებით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის დაშვებული შეზღუდვების ლიმიტირებულ ფარგლებს.

პრინციპი 3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის ლეგიტიმური მიზანი

სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და უზრუნველყონ რომ:

ა) საკანონმდებლო აქტებმა, რომელიც არეგულირებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და შესაბამისი დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხებს, შესაძლებელია დააწესონ ლეგიტიმური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლებაზე იმ შემთხვევაში თუკი შეზღუდვები არის გასაგები, განიმარტება ვიწროდ და მათ ჭეშმარიტ მიზანსა და მტკიცებად შედეგს წარმოადგენს ინდივიდთა დაცვა მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელ ადგილსა და კომუნიკაციაში უკანონო ჩარევისა და შეტევებისგან.

ბ) კანონმდებლობამ, რომელიც იცავს ინდივიდებს მნიშვნელოვანი ზიანისგან, რაც მოიცავს თუმცა არ ამოიწურება იძულებით, ძალადობის მუქარით, პირადი სექსუალური შინაარსის მონაცემთა (ფოტო ან ვიდეო მასალის) მიზანმიმართული გავრცელებით და განსაჯაროებით, სენსიტიური პერსონალური მონაცემების (გარდა პირის სახელისა) და პირის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი ინფორმაციის მისი თანხმობის გარეშე გავრცელებით, შესაძლებელია დააწესოს ლეგიტიმური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლებაზე. აღნიშნული შეზღუდვები უნდა იყოს ვიწროდ ჩამოყალიბებული, შეიცავდეს გამოხატვის თავისუფლების ინტერესების დაცვის შესაბამის მექანიზმებს და არ უნდა აწესდეს არაპროპორციულ პასუხისმგებლობის ზომებს.

გ) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და შესაბამისი დელიქტური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მოქმედება ვერ იქნება გამართლებული თუ მათ ერთადერთ მიზანს წარმოადგენს იმ პირთა დაცვა შესაძლო ზიანისგან, რომელთაც არ აქვთ ან რომლებიც არ უფრთხილდებიან საკუთარ რეპუტაციას. კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და შესაბამისი დელიქტური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მოქმედება ვერ იქნება გამართლებული თუ მათი მიზანი ან შედეგი არის საჯარო პირთა დაცვა ლეგიტიმური კრიტიკისგან, კორუფციული პრაქტიკისა და საჯარო მოხელეთა გადაცდომების გამოვლენის თავიდან აცილება, ან სახელმწიფო მეთაურთა თუ სხვა საჯარო მოხელეთა და საჯარო პირთა რეპუტაციის დაცვა.

დ) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და შესაბამისი დელიქტური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მოქმედება ვერ იქნება გამართლებული საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, თუ უცხო ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების არგუმენტი.

ნაწილი 2. გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ურთიერთ აღსრულებადი უფლებები

პრინციპი 4: კომუნიკაციის მიყურადება

4.1. სახელმწიფო თუ კერძო პირთა მიერ ციფრული და ტრადიციული კომუნიკაციის საშუალებით გაცვლილ მონაცემთა საყოველთაო და არამიზნობრივი შეგროვება, შენახვა და ანალიზი კონკრეტული გონივრული ეჭვის არსებობის გარეშე („მასობრივი მიყურადება“), არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტურ არსს. აღნიშნულს ასევე აქვს შემზღვეველი ეფექტი ისეთი უფლებებით სარგებლობაზე, როგორც არის გამოხატვის თავისუფლება და უფლება საკუთარ აზრზე. აღნიშნული ყალიბდება ინფორმაციის მოძიების, მისდამი წვდომის მიღებისა და ონლაინ გავრცელების პროცესში. მასობრივი მიყურადება, როგორც ასეთი ყოველთვის წარმოადგენს არაპროპორციულ ჩარევას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციის თავისუფლებაში.

4.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომუნიკაციის მიყურადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და პროცედურები თანხვედრაში იყოს ონლაინ კომუნიკაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო პრინციპებთან.

პრინციპი 5: მონაცემთა სავალდებულო შენახვა

მონაცემთა სავალდებულო შენახვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც ინტერნეტ პროვაიდერებს აკისრებს ვალდებულებას მუდმივად შეაგროვონ და შეინახონ მომხმარებელთა კომუნიკაციის კონტენტი ისევე როგორ ინფორმაცია მომხმარებელთა ონლაინ აქტივობებისა და იდენტობის შესახებ, მნიშვნელოვნად არღვევს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ მონაცემთა სავალდებულო შენახვის რეჟიმი და სქემა სრულ თანხვედრაშია მოცემული პრინციპებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ:

ა) მონაცემთა საყოველთაო და არამიზნობრივი შენახვა წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვას და უნდა იქნეს აღმოფხვრილი; და

ბ) ინფორმაციის მიზნობრივი შეგროვების ზომები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აუცილებელია მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, როდესაც ამოსაღებ მონაცემთა კატეგორია და მისი შენახვის პერიოდი არის შეზღუდული კონკრეტული მიზნით და როდესაც აღნიშნულ ქმედებებს თან ახლავს უფლებათა დარღვევის თავიდან აცილების მექანიზმები.

პრინციპი 6: ანონიმურობა, მომხმარებლის სავალდებულო რეგისტრაცია და ნამდვილი ვინაობის მოთხოვნები

6.1. ყველას უნდა ქონდეს უფლება ანონიმურად ისარგებლოს გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც მოიცავს ანონიმურ საუბრისა და მასალის ანონიმურად გაცნობის ისევე, როგორც ინფორმაციისადმი ანონიმური წვდომის უფლებას როგორც ონლაინ ისე ფიზიკურად.

6.2. უნდა არსებობდეს აღნიშნული უფლებით სარგებლობის პრეზუმცია. სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ/აღმოფხვრან:

ა) ანონიმურობის ბლანკეტური აკრძალვა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულ და არასავალდებულო შეზღუდვას;

ბ) საკანონდებლო აქტები, რეგულაციები და სახელმწიფო პოლიტიკა, რომლებიც ავალდებულებენ მომხმარებელს მიუთითოს საკუთარი ნამდვილი ვინაობა ან სხვა მაინდენტიფიცირებელი მონაცემები ან რომლებიც ინტერნეტთან ან ინტერნეტ სერვისებთან წვდომისთვის ითხოვენ აპარატების რეგისტრაციას, წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას.

6.3. მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა ანონიმურად დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი. მათ თავი უნდა შეიკავონ ნამდვილი ვინაობის მითითების პოლიტიკის გამოყენებისა თუ მათ პლატფორმებზე სხვა

მაინდენტიფიცირებელი მონაცემის დარეგისტრირების მოთხოვნისგან, იქიდან გამომდინარე რომ აღნიშნული მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

პრინციპი 7: კოდირება

7.1. ყველას უნდა ქონდეს უფლება გამოიყენოს კომუნიკაციის უსაფრთხო საშუალებები, კერძოდ ტექნიკური და პროგრამული კოდირების პროდუქტები და მისთვის მისაღები სხვა კრიპტოგრაფიული საშუალებები.

7.2. სახელმწიფოებმა საკუთარი კანონმდებლობითა და პრაქტიკით უნდა აღიარონ, რომ კოდირება არის ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ლეგიტიმურობის მთავარი პირობა და რომ ის აუცილებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვისთვის.

7.3. სახელმწიფოებმა და კერძო კომპანიებმა უნდა წახალისონ კოდირების, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი ონლაინ სტანდარტის ისეთი ფორმა, როდესაც კომუნიკაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ კომუნიკაციის სხვადასხვა ბოლოში მყოფი პირებისთვის (end-to-end encryption). მათ ასევე უნდა წახალისონ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ტექნიკურ სტანდარტებსა და კერძო კომპანიათა პროდუქტებში.

7.4. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ციფრულ წიგნიერებას (უნართა ნაკრები, რომელიც აუცილებელია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის) კოდირების საშუალებების გამოყენების პროცესში. მათ უნდა წახალისონ ღია-კოდური პროგრამების (OSS) გამოყენება, უზრუნველყონ მათი ტექნიკური გამართულობა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების მიერ რეგულარული შემოწმების გზით.

7.5. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ან უნდა გააუქმონ ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც უკრძალავს ინდივიდებს კოდირების გამოყენებას ან უკრძალავს კერძო კომპანიებს მათ სისტემებსა და პროდუქტებში კოდირების შესაძლებლობის გათვალისწინებას.

7.6. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებში ისეთი პროგრამების დაყენებას, რომლებიც თავს არიდებენ ხელსაწყოთა დამცავ მექანიზმებს (ე.წ. „backdoors“). აღნიშნული არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არაპროპორციული შეზღუდვა და წარმოადგენს იძულებითი გამოხატვის არაპროპორციულ ზომას.

7.7. სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ან თავი უნდა შეიკავონ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღებისგან, რომლებიც აწესებენ დეკოდირების საშუალებების გამყდარების ვალდებულებას. კოდირებული მონაცემების თუ ხელსაწყოების დეკოდირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის გამომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი საკანონმდებლო აქტიდან. დეკოდირება უნდა იყოს მიზნობრივი და გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. დეკოდირება დასაშვებია მხოლოდ

სასამართლოს თანხმობით და ინდივიდის პროცედურული უფლებების დაცვით, მათ შორის უფლების არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.

7.8. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღებისგან, რომლებიც აწესებენ მონაცემთა დეკოდირების საშუალებების დეპონირების ვალდებულებას (ე.წ. key escrow სისტემები).

7.9. სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ კოდირების ფუნქციის მქონე ხელსაწყოებსა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებზე იმპორტული/ექსპორტული შეზღუდვები.

პრინციპი 8. კერძო კომპანიების მიერ მონაცემთა გაცემა

8.1. მომსახურების მიმწოდებლებს მათი მომხმარებლების შესახებ პერსონალური მონაცემების გაცემის ვალდებულება შესაძლებელია დაეკისროთ მხოლოდ სასამართლოს ბრძანებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლით განმტკიცებულ კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობისა და ლეგიტიმური მიზნის არსებობის პრინციპებს.

8.2. მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ მათი მომხმარებლების ინფორმირება, რომ სახელმწიფო ორგანოებისა თუ მესამე პირთა მიერ მოთხოვნილ იქნა მათი პერსონალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომხმარებლის ინფორმირებისგან თავის შეკავების განჩინება გაცემულ იქნა სასამართლოს მიერ, რადგან აღნიშნული შექმნიდა ინდივიდისთვის რეალური ზიანის მიყენების რისკს ან წარმოშობდა ეჭვიმტანილის მიერ მტკიცებულებების განადგურებისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის ალბათობას.

8.3. მომსახურების პროვაიდერებმა უნდა გამოაქვეყნონ ანგარიშები, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ორგანოებისგან, სასამართლოებისგან და კერძო პირებისგან მონაცემთა გაცემის მოთხოვნის შესახებ მიღებული განცხადებების/განკარგულებების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განცხადებებზე/განკარგულებებზე მიღებული შესაბამისი რეაგირების ზომების შესახებ.

8.4. 8.3. პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან კანონმდებლობაზე, რეგულაციებსა და პოლიტიკაზე, რომლებიც სერვისის მიმწოდებლებს უკრძალავს ანგარიშების გამოქვეყნებას მონაცემთა გაცემის მოთხოვნისა თუ კომუნიკაციის მიყურადების შესახებ.

პრინციპი 9: წყაროთა დაცვა

9.1. გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს, რომ ყველას ვინც ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით მიიღებს ინფორმაციას კონფიდენციალური წყაროებიდან 9.2.ა) და

9.2.ბ) პრინციპების შესაბამისად ეკისრება ვალდებულება არ გაამხილოს კონფიდენციალური წყაროების ვინაობა და უფლება უარი თქვას მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

9.2. სახელმწიფოებმა საკუთარი კანონმდებლობით უნდა განამტკიცონ წყაროთა კონფიდენციალურობის პრინციპი და უზრუნველყონ, რომ:

ა) წყაროთა დაცვის პრინციპის ნებისმიერი შეზღუდვა აკმაყოფილებს პრინციპ 2-ში მოცემულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილ სამეტაპიან ტესტს;

ბ) წყაროთა კონფიდენციალურობის ვალდებულება შესაძლებელია მოხსნილ იქნას, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ სასამართლო დადგენილების საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს ლეგიტიმური მიზნის, აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმებს. უფლებათა დაცვის იგივე სტანდარტები ვრცელდება ჟურნალისტურ მასალასთან წვდომის საკითხზეც;

გ) კონფიდენციალური წყაროს გაუხმაურებლობისა და ჟურნალისტურ მასალის ხელშეუხებლობის უფლება გულისხმობს, რომ დაცული უნდა იყოს ჟურნალისტური საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი პირის კომუნიკაციის ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება. წყაროთა კონფიდენციალურობის ხელშეუხებლობა დაუშვებელია დარღვეულ იქნეს ისეთ გამონაკლისებზე მითითებით, როგორც არის ფარული მიყურადება ან მონაცემთა ანალიზი, როდესაც ისინი არ არის ნებადართული სასამართლოს მიერ და არ გამომდინარეობს გასაგებად და ვიწროდ ჩამოყალიბებული საკანონმდებლო აქტიდან; და

დ) 9.2.ბ) და გ) პუნქტებით გათვალისწინებული ყველა სასამართლო დადგენილება, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა, გაცემულ უნდა იქნეს სამართლიანი სასამართლო განხილვის შედეგად, როდესაც ჟურნალისტი სათანადოდ იქნა ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ.

პრინციპი 10: მონაცემთა მოძიება და ამოღება

მონაცემთა მოძიება და ამოღება წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებაში მნიშვნელოვან ჩარევას. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მონაცემთა მოძიებისა და ამოღების მარეგულირებელი კანონმდებლობა აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მონაცემთა მოძიება და ამოღება დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიღებული ზომები სრულად აკმაყოფილებს კანონიერების, ლეგიტიმური მიზნის, აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმებს;

ბ) ინდივიდთა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ჩხრეკა, მონაცემთა მოძიება ონლაინ ანგარიშებში, მონაცემთა დისტანციური შენახვა, მეტადატას შეგროვება და მონაცემთა ნებისმიერი ამოღება შესაძლებელია თანხვედრაში იყოს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან, თუ ის დადასტურებულ იქნა სასამართლოს მიერ და აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ კანონიერების, ლეგიტიმური მიზნის, აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმებს;

გ) მონაცემთა მოძიებისა და ამოღების აუცილებლობისა და პროპორციულობის განსაზღვრისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წყაროს, ჟურნალისტური მასალისა და საიდუმლო ინფორმაციის კონფიდენციალურობას; და

დ) თავისთავად არაპროპორციულია მონაცემთა მოძიებისა და ამოღების სასამართლო ორდერი, რომელიც არის საკმარისად ვიწროდ ჩამოყალიბებული და არ ეფუძნება არსებულ გონივრულ ეჭვს.

პრინციპი 11: მონაცემთა ტრანს-სასაზღვრო მიმოქცევა

11.1. გამოხატვის თავისუფლებით სრულად სარგებლობისთვის აუცილებელია მათ შორის მონაცემთა გაცვლის შესახებ შეთანხმებებით დაცული იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემები. იმისთვის რომ მუდმივად იყოს უზრუნველყოფილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისი სტანდარტი, 1-ელ და მე-2-ე სექციებში მოცემული პრინციპები უნდა მიემართებოდეს სახელმწიფოსა და კერძო კომპანიებს შორის მონაცემთა გაცვლასაც.

11.2. მონაცემთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულებებში სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი ადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უმაღლეს სტანდარტს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტმა არ უნდა დაიწიოს მონაცემთა ტრანსფერის შედეგად.

11.3. თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა. მონაცემთა ლოკალიზების მარეგულირებელი ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა ადგენდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მაღალ სტანდარტს და აწესებდეს შეზღუდვებს მონაცემთა მოძიებასა და შენახვაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-5 და მე-8 პრინციპებით.

ნაწილი 3: გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა

პრინციპი 12: პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება

ეროვნულმა სამართლებრივმა სისტემებმა პირდაპირ ან ავტორიტეტული ინტერპრეტაციის გზით უნდა უზრუნველყონ, რომ ახალ ამბებსა და სხვა მედია საშუალებებში პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებისას:

ა) სახელმწიფო დაწესებულებების, სასამართლოებისა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი სხვა დამოუკიდებელი ორგანოების მიერ გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვის

პროცესში, განსაკუთრებით კი როდესაც საკითხი ეხება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნებას, გათვალისწინებულია საქმის ყველა გარემოება, მათ შორის ისეთი ფაქტორები როგორცაა:

- i. უწყობს თუ არა ხელს ხელს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაშუქება, ძირითად ტერმინთა განმარტებით განსაზღვრული, ინფორმირებული დებატების გამართვას სხვადასხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე;
- ii. კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი პირის რეპუტაციისა და მოწყვლადობის ხარისხი;
- iii. გაშუქებული ინფორმაციის ძირითადი თემა და გამოყენებულ მონაცემთა პერსონალურობის ხარისხი;
- iv. აღნიშნული პირის ადრეული ქმედებები;
- v. გაშუქებული ინფორმაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები, მათ შორის ავტორის მიერ გამოყენებული სარკაზმული, იუმორისტული ან სატირული ტონი; ასევე ის, იქონია თუ არა პირადი ინფორმაციის განსაჯაროებით მიყენებულმა ზიანმა გავლენა მონაცემთა სუბიექტის პირად ცხოვრებაზე, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი პიროვნული პატიოსნება;
- vi. ინფორმაციის მოპოვების ფორმა და მისი თავსებადობა 12 b) და 12 c) პრინციპებთან;
- vii. ინფორმაციის გამავრცელებელი პიროვნების ან უწყების განზრახვის, განსაკუთრებით კი ბოროტი განზრახვის არსებობა; და
- viii. წარმოადგენს თუ არა მონაცემთა სუბიექტი საჯარო პირს მე-13 პრინციპის შესაბამისად.

ბ) თუ გამოქვეყნებული მასალა მოიცავს ფოტოსურათებს, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერებს, გათვალისწინებულ უნდა იქნას მონაცემთა მოპოვების გარემოებები, კერძოდ:

- i. მოხდა თუ არა ფოტოსურათის, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მონაცემთა სუბიექტის ინიციატივით ან თანხმობით;
- ii. ნებაყოფლობით დათანხმდა თუ არა პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი მასალის გამოყენებას, გამოქვეყნებას და გავრცელებას;

- iii. მოხდა თუ არა მასალის მოპოვება პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ ან უკანონოდ;
- iv. პირად ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ბუნება და ინტენსივობა იმის გათვალისწინებით, რომ სურათები და აუდიო ჩანაწერები მიეკუთვნება განსაკუთრებით სენსიტიურ პერსონალურ მონაცემთა კატეგორიას, გამოააშკარავენ რა პიროვნების უნიკალურ მახასიათებლებს; და
- v. მიღებული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლებში ჩარევის ხარისხის მინიმუმამდე დაყვანას.

გ) ჟურნალისტური საქმიანობის მიზნებისთვის ისეთი პირადი ცხოვრების შემზღვეველი საგამოძიებო მექანიზმების გამოყენება, როგორც არის ფარული კამერები, უპილოტო აპარატები, ე.წ. „ჰაკერული“ მეთოდები, ინფორმაციის მოპოვება ფარული ან საიდუმლო აგენტების მიერ შესაძლებელია ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც:

- i. არსებობს მოპოვებული ან მოძიებული ინფორმაციის გავრცელების აღმატებული საჯარო ინტერესი;
- ii. ამგვარი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლებში სხვა ნაკლებად ინტენსიური ჩარევის მეთოდით; და
- iii. მიღებულ იქნა ზომები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესის გასათვალისწინებლად, მათ შორის პირთა სახის გამოსახულების ბუნდოვნად წარმოჩენა, პერსონალური მონაცემების ამოჭრა ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლებში ჩარევის ხარისხის მინიმუმამდე დაყვანის სხვა მექანიზმები.

პრინციპი 13: საჯარო პირები

13.1. ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ნათლად, პირდაპირ ან ავტორიტეტული ინტერპრეტაციის გზით უნდა იყოს მითითებული, რომ საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე ღია და თავისუფალი დებატები წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს; რომ საჯარო პირები, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მეთაურები, არჩეული წარმომადგენლები, ინდივიდები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი პირები ან ის პირები, რომლებიც სხვაგვარად არიან ჩართულნი საჯარო ფუნქციების განხორციელებაში, გარდაუვლად და გაცნობიერებულად თანხმდებიან, წარმოადგენდნენ ახლო შესწავლის საგანს, როგორც ჟურნალისტების, ისე საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, მათ აქვთ

მოლოდინი, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ან უფრო დაბალი რანგის საჯარო მოხელეებთან შედარებით ნაკლებად იქნება დაცული მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო ინტერესის საგანს.

13.2. საჯარო ინტერესი შესაძლებელია გავრცელდეს მოცემულ პირთა პირადი ცხოვრების ისეთ ასპექტებზე, რომლებიც კავშირშია ან გავლენას ახდენს მათ საჯარო ფუნქციებზე, თუმცა არ მოიცავს ისეთ წმინდად პირადულ საკითხებს, რომელთა მიმართაც საზოგადოების წევრთა ინტერესს აქვს მხოლოდ ავხორცი და სენსაციური ხასიათი.

13.3. მე-13 პრინციპის მიზნებისთვის პირი (ცნობილი ადამიანი), შეიძლება მიჩნეულ იქნეს საჯარო პირად, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ახორციელებს საჯარო ფუნქციას, თუკი ის გახდა საჯარო პირი მისი ცნობადობის გამო; ან თუ ის იღებს სარგებელს საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ყოფნისგან და აქედან გამომდინარე აქვს შესაძლებლობა გაავრცელოს საკუთარი მოსაზრებები მედია საშუალებით.

13.4. დემოკრატიული პლურალიზმის პრინციპების შესაბამისად, რაც უფრო მნიშვნელოვანია საჯარო პირი, განსაკუთრებით, თუ ის არჩევითი წარმომადგენელია ან ახორციელებს ნებისმიერ საჯარო უფლებამოსილებას, მით უფრო მეტად უნდა ექვემდებარებოდეს ის შესწავლის უმაღლეს სტანდარტს და უნდა გააჩნდეს აღნიშნულის მიმართ თმენის ვალდებულება.

პრინციპი 14: გამჭვირვალე მართლმსაჯულება

14.1. სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში, ისევე როგორც პრაქტიკაში, მართლმსაჯულებისა და სასამართლოს ყველა ქმედების საჯაროობის პრინციპი. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს უფლება, იცოდეს დავის მონაწილე მხარეთა, მათ შორის ეჭვმიტანილთა, მოპასუხეთა და მოწმეთა ვინაობა სისხლის სამართლის საქმეებში და კერძო მხარეთა ვინაობა სამოქალაქო დავებში. აღნიშნული ასევე გულისხმობს, რომ სასამართლო სხდომები უნდა გაიმართოს საჯაროდ და ნებადართული უნდა იყოს ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ტრანსლირება, სოციალური მედია საშუალებების გამოყენება და სურათების გადაღება.

14.2. შეზღუდვები 14.1. პრინციპზე, რაც მოიცავს გადაწყვეტილებების ანონიმურობას, დახურულ სხდომებს, და აგრეთვე ვიდეო და აუდიო ჩაწერის, ტრანსლირების, სოციალური მედია საშუალებების გამოყენებისა და სურათების გადაღების აკრძალვას ზოგიერთი სახის განხილვებში, დაშვებული უნდა იყოს დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ და გამართლებული მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათ შორის:

ა) როდესაც მსხვერპლთა, მოწმეთა, მოპასუხეთა ან მათი ოჯახის წევრთა დაცვის აუცილებლობა ფიზიკური ან სხვა ხელშესახები ზიანის რეალური ან მნიშვნელოვანი საფრთხისგან მნიშვნელოვნად გადაწონის ინდივიდთა უფლებას თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესები;

ბ) როდესაც მცირეწლოვან ან მოწყვლად გარემოებებში მყოფ სხვა პირთა კეთილდღეობის, მათ შორის მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესი გადაწონის საჯარო ინტერესს გამჭვირვალე მართლმსაჯულებაზე;

გ) როდესაც დავის ერთ-ერთი მხარის იდენტიფიცირება გარდაუვლად გამოიწვევდა კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმართლებელ ან არაპროპორციულ გასაჯაროებას;

დ) როდესაც პროცესის გასაჯაროება გაანადგურებდა დავის საგანს, იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილე მხარეთა მგრძობიარობა არ წარმოადგენს სასამართლო პროცესზე საზოგადოების დასწრების აკრძალვის საფუძველს;

ე) როდესაც საქმის არსი მოიცავს დისკუსიას ერთ-ერთი მხარის გამართლებულად კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით და საჯარო მოსმენა ექვევემ დააყენებს ამ კონფიდენციალურობას; და

ვ) როდესაც ეს მოითხოვება სამართლის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგალითად სასამართლოსადმი ნდობის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.

14.3. სასამართლო სხდომების ვიდეო გადაღება შესაბამისობაში უნდა იყოს მონაცემთა დაცვის პრინციპებთან და არ უნდა შეუშალოს ხელი სხდომას.

14.4. ის ფაქტი, რომ ზუსტი ინფორმაციის პირობებშიც საზოგადოებამ შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთოს ან შეუსაბამოდ მოიქცეს სასამართლო სხდომის გასაჯაროების შედეგად, არ ამართლებს ამგვარი გასაჯაროების აკრძალვას პრესისთვის ან ფართო საზოგადოებისთვის.

14.5. იმ გარემოებებში, როდესაც გარკვეული სახის კონფიდენციალურობა არის საჭირო, უმჯობესია - სადაც შესაძლებელია - იგი მიღწეულ იქნას მედიისთვის იმგვარი შეტყობინების გზით, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია (როგორცაა „შეზღუდვები გასაჯაროებაზე“), და არა დახურულ კარს მიღმა სხდომების გამართვით.

ნაწილი 4: გამოხატვის თავისუფლებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა

პრინციპი 15: საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დაცვა

15.1. მას შემდეგ, რაც ინფორმაცია გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი, არსებობს იმის წინასწარი დაშვება, რომ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი დარჩება განუსაზღვრელი ვადით. ამ პრინციპში გამოთქმული დაშვება არ გამორიცხავს განაცხადს ნებისმიერ დაცვას

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ან მონაცემთა დაცვის გამოყენების დარღვევასთან დაკავშირებით.

15.2. მიუხედავად 15.1. პრინციპისა, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია შესაძლოა შეიზღუდოს მკაცრი სამნაწილიანი ტესტის გამოყენებით, რაც მოცემულია მე-2 პრინციპში.

15.3. უნდა არსებობდეს წინასწარი დაშვება, რომ პიროვნების მიერ საკუთარი პერსონალური ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო პლატფორმებზე (რაც მოიცავს სოციალური მედიის პლატფორმებს, სადაც პარამეტრები დაყენებულია საჯაროობაზე), შეიძლება მარტივად გახდეს ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, ამგვარი ინფორმაციის მიმართ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინი ნაკლებია.

15.4. კერძო კომპანიებს უნდა გააჩნდეთ ვალდებულება, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გზები გახადონ ნათელი და მარტივად გასაგები, და უზრუნველყონ, რომ პიროვნებებს გააჩნიათ შესაბამისი კონტროლი იმაზე, თუ რომელი ინფორმაცია უნდათ რომ გასაჯაროვდეს, რომელი - დარჩეს პირადად, ხოლო რომელი უნდათ გააზიარონ ონლაინ მხოლოდ გარკვეულ ჯგუფთან. კერძო კომპანიებმა არ უნდა შეცვალონ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პარამეტრები, თუკი ეს ცვლილებები არ ემსახურება პირადი ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვას და მათ პროაქტიულად უნდა აცნობონ მომხმარებლებს პირადი მონაცემების დაცვის პარამეტრების ცვლილებებთან დაკავშირებით.

პრინციპი 16: პიროვნების მიერ გამოქვეყნებული და მისი ავტორობით შექმნილი მონაცემების წაშლის მოთხოვნა

16.1. უნდა არსებობდეს წინასწარი დაშვება, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს დუმილის, აზრის შეცვლის, გამოთქმული მოსაზრების წაშლის, პროვადერისთვის ან მესამე მხარისთვის წაშლის თხოვნის უფლებას იმ სახის მონაცემებზე, რაც გამოქვეყნებულია პიროვნების მიერ, და შექმნილია მისი ავტორობით, მათ შორის ონლაინ განთავსებულ მონაცემებზე.

16.2. პრინციპი 16.1. არ მოიცავს იმ მონაცემებს, რაც შექმნილია პიროვნების შესახებ სხვისი ავტორობით და განთავსებული ან გამოქვეყნებულია მესამე მხარეების მიერ.

16.3. გადაწყვეტილების მიღებისას, დაკმაყოფილდეს თუ არა პროვადერისა და მესამე მხარეების მხრიდან პიროვნების მოთხოვნა მის მიერ გამოქვეყნებული და მისი ავტორობით შექმნილი მონაცემების წაშლის თაობაზე, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი გარემოებები:

- ა) არის თუ არა მოთხოვნის ავტორი ბავშვი ან ახალგაზრდა;
- ბ) გაკეთდა თუ არა მოთხოვნა მოწყვლად გარემოებაში მყოფი პიროვნების მიერ;
- გ) გაკეთდა თუ არა მოთხოვნა იმ პიროვნების მიერ, რომელიც აღნიშნული მონაცემების შექმნის ან გამოქვეყნების დროს იყო მოწყვლად გარემოებაში მყოფი

ბავშვი ან ახალგაზრდა;

დ) წარმოაჩენს თუ არა მონაცემები პიროვნების პირად ავტორობას;

ე) არის თუ არა განმაცხადებელი პიროვნება საჯარო პირთა, ან იყო თუ არა საჯარო პირთა მონაცემების შექმნის ან გამოქვეყნების დროს;

ვ) არის თუ არა მონაცემები საჯარო ინტერესის შემცველი; და

ზ) ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არის თუ არა აუცილებელი და პროპორციული მონაცემების წაშლა.

პრინციპი 17: მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების წაშლის მოთხოვნა

17.1. პროვაიდერები და მესამე მხარეები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი წაშალონ ან სხვაგვარად გააუქმონ მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებული პერსონალური ინფორმაციის შემცველი მონაცემები მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონებისა ან ე.წ. „დავიწყების უფლების“ საფუძველზე.

17.2. პროვაიდერები ვალდებულნი უნდა იყვნენ წაშალონ მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებული პერსონალური ინფორმაციის შემცველი მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მესამე მხარის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნება წარმოადგენდა უკანონო ქმედებას, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, ან ისეთი დანაშაული, როგორცაა ძალადობა, ძალადობის მუქარა, მუქარის შემცველი გასაჯაროება, პერსონალური ინფორმაციის გავრცელება, პირადი სექსუალური სახის ინფორმაცია (მაგ. სურათები ან ფილმები). გადაწყვეტილების მიღებისას, დაკმაყოფილდეს თუ არა მოთხოვნა მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებული პირადი ინფორმაციის შემცველი მონაცემების წაშლის თაობაზე, გათვალისწინებულ უნდა იქნას პრინციპი 17 და მე-12 და მე-13 პრინციპებში მითითებული გარემოებები.

17.3. ნებისმიერ საფუძველზე მონაცემების წაშლა ან გაუქმება შესაბამისობაში უნდა იყოს მანილას პრინციპებთან შუამავლობითი პასუხისმგებლობის შესახებ.

პრინციპი 18: საძიებო შედეგებიდან ამოღების მოთხოვნა

18.1. იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. „დავიწყების უფლება“ აღიარებულია ზოგიერთ იურისდიქციაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარი „უფლება“ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პიროვნების უფლებით მონაცემების დაცვის კანონის ქვეშ, მოსთხოვოს საძიებო სისტემებს, ამოიღონ არასწორი ან მოძველებული ძიების შედეგები რაც უკავშირდება მის სახელს.

18.2. არსებითად, მოთხოვნები ინფორმაციის ამოღების თაობაზე უნდა ექვემდებარებოდეს საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებას ან დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა გამოხატვის თავისუფლებისა და მონაცემების დაცვის კანონში. ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ საძიებო სისტემები იქნება პირველი ადრესატი ამგვარი მოთხოვნების დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დავის შემთხვევაში ორივე მხარეს გააჩნდეს გასაჩივრების უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში ან სასამართლო ორგანოში.

18.3. გადაწყვეტილების მიღებისას, დაკმაყოფილდეს თუ არა მონაცემების ამოღების მოთხოვნა, სასამართლოებმა ან ნებისმიერმა სხვა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ ფაქტორების შემდეგი არასრული ჩამონათვალით:

ა) არის თუ არა ინფორმაცია პერსონალური სახის;

ბ) გააჩნდა თუ არა მოსარჩელეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი ინფორმაციასთან დაკავშირებით, მისი წინა ქცევის გათვალისწინებით, იყო თუ არა მოსარჩელეს მიერ გაცემული თანხმობა, არსებობდა თუ არა ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი სახით მანამდე;

გ) ვრცელდება თუ არა ინფორმაციაზე საჯარო ინტერესი, როგორც განმარტებულია ძირითად ტერმინებში;

დ) მიეკუთვნება თუ არა აღნიშნული ინფორმაცია საჯარო პირთა, როგორც ეს გაწერილია მე-13 პრინციპში;

ე) არის თუ არა ინფორმაცია საჯარო ჩანაწერის ნაწილი, კერძოდ იყო თუ არა აღნიშნული მასალა გამოქვეყნებული ან ჩაწერილი ჟურნალისტური, სახელოვნებო, ლიტერატურული ან აკადემიური მიზნებისთვის, ან იქნა თუ არა გამოქვეყნებული ხელისუფლების მიერ სამართლებრივი ვალდებულების შესრულებისას რაც მოიცავდა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას;

ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია ატარებს საჯარო ხასიათს, ან გასაჯაროვდა მოსარჩელეს თანხმობით, დაასაბუთა თუ არა მოსარჩელემ მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც მიადგა მის სახელთან დაკავშირებული საძიებო შედეგების გამო;

ზ) რამდენად ახალია ინფორმაცია, და გააჩნია თუ არა მას ფასეულობა საჯარო ინტერესის მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ რაც უფრო ახალია ინფორმაცია, მით მეტია მისი საჯარო ინტერესის ფასეულობა, ხოლო გარკვეული სახის ინფორმაციის საჯარო ინტერესის ფასეულობას განუსაზღვრელი ვადა გააჩნია;

თ) იქნება თუ არა ალტერნატიული ზომები, როგორცაა შინაარსის ნებაყოფლობითი წაშლა ნებისმიერი მესამე მხარის მხრიდან, პასუხის გაცემის უფლება, ან განაცხადი ცილისწამებასთან დაკავშირებით უფრო შესაბამისი; და უნდა მიმართონ თუ არა ამ ზომებს პირველ რიგში, ან ალტერნატივის სახით;

ო) არის თუ არა ამოშლის მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოხატვის თავისუფლების პროპორციული შეზღუდვა, საკითხის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

18.4. ამოშლის მასშტაბი უნდა შემოიფარგლოს იმ დომენის სახელით, რომელიც შეესაბამება ქვეყანას, სადაც უფლება არის აღიარებული და სადაც აღნიშნულ პიროვნებას მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

18.5. მონაცემების ნებისმიერი სახის ამოშლა მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონების საფუძველზე შესაბამისობაში უნდა იყოს მანილას პრინციპებთან შუამავლობითი პასუხისმგებლობის შესახებ და უნდა მოიცავდეს შემდეგ პროცედურულ გარანტიებს:

- ა) მონაცემების გამომქვეყნებლებს უნდა ეცნობოთ და მიეცეთ უფლება, ექვეყნონ დააყენონ მონაცემების ამოშლის მოთხოვნები;
- ბ) მონაცემების გამომქვეყნებლებსა და საძიებო სისტემებს უნდა ქონდეთ უფლება, გაასაჩივრონ მონაცემების ამოშლის მოთხოვნები.

18.6. ქვემოთ მოცემულ 24-ე და 25-ე პრინციპებთან შესაბამისობაში სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ მაღალი დამსჯელი ჯარიმების დაწესებისგან მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც არ ხდება ამოშლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან დიდი ალბათობაა, რომ ამ ქმედებით მოხდება თავისუფლების გამოხატვის არაპროპორციული შეზღუდვა, ამგვარი ზომებისთვის დამახასიათებელი არასახარბიელო შედეგების გამო.

18.7. შესაბამისმა ინტერნეტ სერვისების პროვაიდერებმა, საჯარო დაწესებულებებმა და სასამართლოებმა უნდა გამოაქვეყნონ გამჭვირვალობის ანგარიშები ამოშლის მოთხოვნების რაოდენობისა და სახეობის შესახებ, ისევე როგორც დაკმაყოფილებული ან უარყოფილი მოთხოვნების რაოდენობის სტატისტიკა.

18.8. როდესაც ამოშლა მოხდება, გამჭვირვალობის მიზნით, ამის შესახებ ინფორმაცია ნათლად უნდა იყოს მოცემული საძიებო შედეგებში.

პრინციპი 19: გათავისუფლება მონაცემების დაცვის მოთხოვნისგან

19.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მონაცემების დაცვის აღსრულებისას (როგორც ეს განმარტებულია ამ პრინციპების მიზნებისთვის) არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები და შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლების აღსასრულებლად.

19.2. სულ მცირე, მონაცემების დაცვის კანონებში უნდა არსებობდეს შეზღუდვები, რომლებიც დაიცავს გამოხატვის ისეთ თავისუფლებებს, როგორიცაა ჟურნალისტური, ლიტერატურული, აკადემიური ან სახელოვნებო საქმიანობა. ასევე, მონაცემთა დაცვის კანონები უნდა ათავისუფლებდეს ნებისმიერი სამართლებრივი ვალდებულებისგან ინფორმაციის გასაჯაროებისთვის ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა არქივების წარმოება ისტორიული ან სხვა საჯარო ინტერესის მიზნით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონების შესაბამისობაში მოქმედება და ა.შ. ამგვარი გამონაკლისები ინტერპრეტირებულ უნდა იქნას ფართო გაგებით, იმისათვის რომ მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდეს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებებს.

ნაწილი 5: ინფორმაციის თავისუფლების, მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების შეჯერება

პრინციპი 20: ზოგადი პრინციპები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

20.1. საჯარო დაწესებულებებმა, ასევე კერძო დაწესებულებებმა, რომლებიც ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებებს, საჯარო სერვისებს, განკარგავენ საჯარო რესურსებს ან მოიხმარენ საჯარო დაფინანსებას, უნდა მიმართონ გამჭვირვალობის უმაღლეს სტანდარტს, როდესაც საქმე ეხება მათი საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებსა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას.

20.2. ის გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც ზღუდავს ინფორმაციის თავისუფლებას, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა, უნდა შემოიფარგლებოდეს „ზიანისა“ და „საჯარო ინტერესის“ მკაცრი ტესტებით.

20.3. საჯარო უწყებებმა პროაქტიულად უნდა გამოაქვეყნონ სახელისუფლებო მონაცემები, რაც მოიცავს ხელმისაწვდომ ფორმატებსა და ანონიმურ მონაცემთა ბაზებს („ღია მონაცემებს“), რაზეც უნდა გავრცელდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების (როგორც ეს გაწერილია 1-ელ პრინციპში) და კონფიდენციალური წყაროების დაცვის გარანტიები (მე-9 პრინციპის შესაბამისად).

პრინციპი 21: თანამდებობის პირების პერსონალური ინფორმაციის მაქსიმალური გასაჯაროება

21.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, რომ თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემები შესაძლოა და უნდა გასაჯაროვდეს იმ შემთხვევებში, როდესაც:

- ა) ინფორმაცია შეეხება პიროვნებების ოფიციალურ უფლებამოსილებებს, ან აუცილებელია ნებისმიერი უფლების ან ფუნდამენტური თავისუფლების აღსასრულებლად ან დასაცავად; და
- ბ) ინფორმაცია უკავშირდება თანამდებობის პირის საქმიანობას, როგორცაა მისი საქმის შესრულება, ხელფასი, ქონებრივი მდგომარეობა და ინტერესთა კონფლიქტი.

21.2. მე-13 პრინციპთან შესაბამისობაში, თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემები, რაც შეიძლება შეიცავდეს პირადი სახის ინფორმაციას, უნდა გასაჯაროვდეს იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საჯარო ინტერესი. ინფორმაციის გასაჯაროების საჯარო ინტერესი (როგორც ეს განსაზღვრულია მთავარ ტერმინებში) უნდა იყოს განსაკუთრებით მაღალი, როდესაც ინფორმაცია წმინდად პირადული ან უაღრესად მგრძობიარე სახისაა.

პრინციპი 22: ოფიციალური ჩანაწერები

22.1. სახელმწიფო უწყებებს შეიძლება გააჩნდეთ კერძო პირების შესახებ პერსონალური ინფორმაცია სასამართლო ჩანაწერებში, სოციალური პროგრამების ბაზებში, საჯარო რეესტრებში, პროფესიულ მონაცემთა ბაზებში, არქივებში, ბიზნესისთვის გაწეულ საჯარო სუბსიდიებში, და კერძო კომპანიებში წილების შესახებ ჩანაწერებში. გადაწყვეტილების მიღებისას, გახდეს თუ არა აღნიშნული მონაცემთა ბაზები სრულიად ან ნაწილობრივ საჯარო, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ინფორმაციის თავისუფალი დინება;
- ბ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- გ) საჯარო ინტერესის სხვა ასპექტები, როგორცაა ღია სამართალი და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- დ) ფიზიკური პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე;
- ე) იურიდიული პირების ლეგიტიმური უფლება და ინტერესი კონფიდენციალურობაზე;
- ვ) ინფორმაციის უფასო დამუშავების ანგარიშვალდებულება;
- ზ) საზოგადოებრივი უსაფრთხოება; და
- თ) უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ დისკრიმინაცია.

22.2. უნდა არსებობდეს წინასწარი დაშვება რომ:

- ა) სასამართლო სხდომის ჩანაწერები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუ ანონიმურობა ან სხვა შეზღუდვები საკმარისად იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სადაც ამ უკანასკნელს სასამართლო ჩათვლის საჭიროდ.
- ბ) ჩანაწერები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დელიკატური ბუნებიდან გამომდინარე, არ უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ძლიერი მაკომპენსირებელი საჯარო ინტერესი ასეთი ინფორმაციის გასაჯაროებისთვის; და
- გ) საჯარო ჩანაწერები ბავშვების შესახებ, იქნება ეს სამედიცინო თუ სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზებიდან, ასევე საჯარო ჩანაწერები სექსუალური, ინსტიტუციური, ან სხვა სახის კრიმინალური დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ, არ უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ანონიმურობის ფორმატის დაცვის გარეშე.

22.3. გადაწყვეტილების მიღებისას, რამდენად სამართლიანი იქნება 22.1. და 22.2. პრინციპების შესაბამისად გაწერილ ჩანაწერებში არსებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, შესაბამისმა დამოუკიდებელმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

- ა) როგორ იქნა მოპოვებული ინფორმაცია;
- ბ) სუბიექტის შესაძლო მოლოდინი ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით;
- გ) მონაცემების გასაჯაროების შედეგი მონაცემების სუბიექტზე, კერძოდ, მიადგება თუ არა მას მნიშვნელოვანი ზიანი ინფორმაციის გამოქვეყნებით;
- დ) განაცხადა თუ არა მხარემ პირდაპირი უარი ინფორმაციის გასაჯაროებაზე;
- ე) ინფორმაციის შინაარსი; და
- ვ) ინფორმაციის საჯარო ინტერესი (როგორც ეს განმარტებულია ძირითად ტერმინებში).

22.4. როდესაც პერსონალური მონაცემები გასაჯაროებულია მონაცემების ფორმატში, მათ შორის მონაცემთა ბაზების სახით, არ უნდა დაწესდეს შეზღუდვები ამ მონაცემების ხელახლა გამოყენებაზე გამოხატვის თავისუფლების ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა ჟურნალისტური, სახელოვნებო ან ლიტერატურული საქმიანობა.

ნაწილი 6: დარღვეულ უფლებათა აღდგენის საშუალებები და სანქციები

პრინციპი 23: ზოგადი პრინციპები

23.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ზიანის ანაზღაურების მექანიზმები ისეთი სავარაუდო დარღვევების დროს, რაც მოიცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ან მონაცემთა დაცვას, უნდა იყოს მარტივად გამოსაყენებელი, სწრაფი, ეფექტური, და შეესაბამებოდეს პროცესის სათანადო სტანდარტებს. ეფექტური სასამართლო ქმედებების გარდა შესაძლებელი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზიანის ანაზღაურების თვითრეგულირებადი ან მოხალისეობრივი მექანიზმები, დავების მოგვარების ალტერნატიული სქემები, როგორიცაა ომბუდსმენები ან არაფულადი საშუალებები.

23.2. სასამართლოს ან ნებისმიერი დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სანქცია, რომელიც მიზნად ისახავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, ზიანის პროპორციული უნდა იყოს.

23.3. სასამართლომ ან ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ უნდა განიხილოს, არის თუ არა განხილული საშუალება ყველაზე შესაფერისი პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობის ან მონაცემთა დაცვის დარღვევისას. ამავდროულად, უნდა მოხდეს გამოხატვის თავისუფლების სრული პატივისცემა.

23.4. სასამართლომ ან ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ უნდა განიხილოს, არის თუ არა არაფულადი საშუალებები, როგორცაა ბოდიშის მოხდა, უარყოფა, შესწორება ან განცხადების გაკეთება, ან მათი კომბინაცია, უფრო პროპორციული საშუალება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან მონაცემთა დაცვის დარღვევისას, ვიდრე სამოქალაქო ან კრიმინალური სანქცია.

23.5. ინტერნეტთან დაკავშირებული საკითხებისას სასამართლომ ან ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ უნდა განიხილოს, აქვს თუ არა შემთხვევას რეალური და არსებითი კავშირი იმ ქვეყანასთან, რომელშიც დაფუძნებულია სასამართლო და რამდენად შეუძლია მოსარჩელეს დაასაბუთოს, რომ მას მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი აღნიშნულ იურისდიქციაში.

პრინციპი 24: სისხლის სამართლის სასჯელი

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომ კრიმინალური სასჯელი, მათ შორის დაპატიმრება და სადამსჯელო ჯარიმა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებების დარღვევის პროპორციული უნდა იყოს, და თუ საერთოდ იქნება გამოყენებული, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ყველაზე სერიოზულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს სხვების უფლებების გაზრახ უგულებელყოფა ან უხეში გაუფრთხილებლობა.

პრინციპი 25: ფულადი ანაზღაურება

25.1. ფულადი ანაზღაურების რაოდენობის განსაზღვრისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან მონაცემთა დაცვის უფლებების დარღვევის შემთხვევებში, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ პოტენციური არასახარბიელო ზეგავლენა გამოხატვის თავისუფლებაზე. კერძოდ, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფულადი ანაზღაურება არ იყოს მიყენებული ზიანის შეუსაბამო და უნდა გაითვალისწინონ შესაძლო არაფულადი საშუალებები.

25.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომ ფულადი ანაზღაურების გამოყენება მკაცრად შემოიფარგლებოდეს იმ გარემოებებით, როდესაც არსებობს სხვების უფლებების გაზრახ უგულებელყოფა (მათ შორის უხეში გაუფრთხილებლობა).

25.3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან მონაცემთა დაცვის უფლებების დარღვევის შემთხვევებში, როდესაც ზიანი ატარებს არამატერიალურ ხასიათს, ფულად ანაზღაურებაზე უნდა დაწესდეს ზედა ზღვარი და შესაბამისობაში უნდა იყოს დასჯილი მხარის გადახდისუნარიანობაზე.

პრინციპი 26: წინასწარი შეზღუდვა, ამკრძალავი ორდერის საიდუმლოება, სავალდებულო წინასწარი მოდერაცია და შეტყობინება გამოქვეყნების წინ

სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, რომ:

ა) არსებითად, წინასწარი შეზღუდვა არასდროს არის შესაბამისობაში გამოხატვის თავისუფლების დაცვასთან, იმ შემთხვევებშიც, როდესაც შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა;

ბ) საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაშუქების შემზღუდველი შუალედური ამკრძალავი ორდერები (super-injunction), რომლებიც მოიცავენ აკრძალვას როგორც თავად ორდერის არსებობის, ისევე მასში მოცემული ნებისმიერ დეტალის გახმაურების შესახებ, მიჩნეულ უნდა იქნას გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვად;

გ) სამართლებრივი ვალდებულება, რომ პიროვნებას ეცნობოს გამოქვეყნებამდე, თუკი საქმე ეხება მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, იმისათვის, რომ მას ჰქონდეს საშუალება, მოიპოვოს ამკრძალავი ორდერი, შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლებასთან; და

დ) მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსის წინასწარი მოდერაციის სამართლებრივი ვალდებულება წარმოადგენს წინასწარი შეზღუდვის ფორმას და, როგორც ასეთი, შეუსაბამოა გამოხატვის თავისუფლებასთან.

პრინციპი 27: შუალედური ამკრძალავი ორდერები

27.1. იმის გათვალისწინებით, რომ შუალედური ამკრძალავი ორდერები, რომლებიც კრძალავს პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებას, ან ხელახალ გამოქვეყნებას (სხვა სიტყვებით, გამოქვეყნების ამკრძალავი შუალედური ორდერები), შესაძლოა ნებადართული იყოს კანონით ზოგიერთ იურისდიქციაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარი ამკრძალავი ორდერები ნებადართული იყოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ყველაზე განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა წინაპირობა არის შესრულებული:

ა) განმცხადებელს შეუძლია დაასაბუთოს, რომ ინფორმაციის გამოქვეყნებით ან დამატებითი გამოქვეყნებით მას მიადგებოდა გამოუსწორებელი ზიანი, რომლის კომპენსირებაც შემდგომი ქმედებებით შეუძლებელი იქნებოდა;

ბ) სასამართლო დარწმუნდა, რომ მოგვიანებით საქმის არსებითი განხილვისას (იხილეთ პრინციპი 27.3 ქვევით) მოსარჩელე მაღალი ალბათობით დაასაბუთებს, რომ ინფორმაციის გამოქვეყნება ან შემდგომი განსაჯაროება არ უნდა ყოფილიყო ნებადართული;

გ) სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა გამოხატვის თავისუფლების გავლენის საკითხს და იმას თუ რამდენად არის ან უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი აღნიშნული მასალა, და რამდენად არსებობს ან იარსებებს მასალის გამოქვეყნების საჯარო ინტერესი იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ჟურნალისტურ, ლიტერატურულ ან სახელოვნებო მასალას;

დ) სასამართლომ გაითვალისწინა 1-ელ პრინციპში მოცემული უფლებების დაცვა და გულდასმით გამოიყენა საქმის ფაქტების შეფასებისას სამნაწილიანი ტესტი, რომელიც გაწერილია მე-2 პრინციპში.

27.2. რესპონდენტებს და არამონაწილე მხარეებს, ვისაც გააჩნიათ ინტერესი ინფორმაციის მიმართ, უნდა მიეცეთ გამოქვეყნების ამკრძალავი შუალედური ორდერების გამოყენების წინასწარი გაფრთხილება. წინასწარი გაფრთხილების არმიცემა შეიძლება იქნას გამართლებული მხოლოდ მყარი არგუმენტებით, მათ შორის ისეთი გარემოებით, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი ალბათობა, რომ თუკი რესპონდენტს ან არამონაწილე მხარეს ეცოდინება წინასწარი გაფრთხილების შესახებ, ისინი შეეცდებიან ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რაც გააბათილებს ორდერის დანიშნულებას.

27.3. მუდმივი ამკრძალავი ორდერები არასდროს უნდა იქნას მოპოვებული საქმის სრული და სამართლიანი არსებითად განხილვის გარეშე. მუდმივი ამკრძალავი ორდერების გამოყენება უნდა შემოიფარგლოს კონკრეტული განცხადებებით, რაც მიჩნეულია, რომ არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, და კონკრეტული ადამიანებით, ვინც პასუხისმგებელი არიან აღნიშნული განცხადებების გამოქვეყნებაზე.

პრინციპი 28: ამკრძალავი ორდერების დაბლოკვა

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომ:

ა) გაფილტვრა, დაბლოკვა, ამოღება ან შინაარსის შეზღუდვის სხვა ტექნიკური ან სამართლებრივი საშუალება - როგორც გამოხატვის თავისუფლების მკაცრი შეზღუდვა - შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მკაცრ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ სამ-ნაწილიან ტესტთან (რომელიც მოცემულია მე-2 პრინციპში); და

ბ) ინტერნეტის ან ონლაინ სერვისების, პლატფორმების ან აპლიკაციების მასობრივი დაბლოკვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნებისთვის არის გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვა.

პრინციპი 29: შუამავლობითი ვალდებულება და შინაარსის ამოღება

29.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომ შუამავლები, რომლებიც მიაწვდიან სერვისებს (მაგ. ინტერნეტთან წვდომა, ინფორმაციის მოძიება, გადაცემა, ჰოსტინგი, ქეშირება), არსებითად დაცული უნდა იყვნენ, როგორც

სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ სერვისების გამოყენებით მესამე მხარეები ავრცელებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემლახავ შინაარსს.

29.2. შუამავლები არ უნდა იყვნენ ვალდებული, აქტიურად განახორციელონ საკუთარი სერვისების მონიტორინგი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემლახავი შემთხვევების აღმოსაჩენად.

29.3. კანონები, რომლებიც არეგულირებს შუამავლების ვალდებულებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემლახავ შინაარსთან დაკავშირებით, უნდა შეიცავდეს სათანადო გარანტიებს იმისთვის, რომ დაცული იქნას, როგორც გამოხატვის თავისუფლება, ისე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. არსებითად, შუამავლებს მხოლოდ უნდა მოეთხოვებოდეთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემლახავი ინფორმაციის ამოღება, თუკი ამგვარ ზომას ითვალისწინებს კანონი და არსებობს სასამართლოს, ტრიბუნალის ან სხვა დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება კანონის უზენაესობის დაცვით. ინფორმაციის ნებისმიერი სახის წაშლა შესაბამისობაში უნდა იყოს მანილას პრინციპებთან შუამავლობითი პასუხისმგებლობის შესახებ.

29.4. პრინციპები 29.1. და 29.3. არ ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევისას ინტერნეტის პროვაიდერი შუალედური კომპანიების მიერ, საკუთარი მომსახურების პირობებით ზიანის ანაზღაურების ნებაყოფლობითი მექანიზმების გათვალისწინებას, რომლებიც თანხვედრაში იქნება შუამავლობითი პასუხისმგებლობის შესახებ მანილას პრინციპებთან.

პრინციპი 30: სრული აკრძალვა ინტერნეტთან წვდომაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოტივით

სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ინტერნეტთან წვდომაზე სრული აკრძალვისგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოტივით, რადგან ასეთი ზომები ყოველთვის წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვას.

წინასიტორია

მოცემული პრინციპები წარმოადგენს „მე-19 მუხლის“ (Article 19) საერთაშორისო სტანდარტების სერიის ნაწილს, რომელიც ემსახურება სხვადასხვა თემატურ მიმართულებებში გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და ხელშეწყობის გავლენის უფრო დეტალურად შემუშავებას.

მოცემული პრინციპები არის კვლევის, ანალიზის და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში „მე-19 მუხლის“ (Article 19) რეგიონული ოფისებისა და პარტნიორული ორგანიზაციების ფართო გამოცდილებისა და მუშაობის შედეგი. პრინციპების პირველადი ვერსია შემუშავდა

„მე-19 მუხლი“ – თავისუფალი სიტყვის ცენტრი, ფარინგტონის ქუჩა 60, ლონდონი EC1R 3GA – www.article19.org – +44 20 7324 2500

საორგანიზაციო კომიტეტთან კოორდინაციით (საკოორდინაციო კომიტეტი შედგებოდა შემდეგი ორგანიზაციებისგან: Access Now; The Centre for Internet and Society, India; Derechos Digitales; Electronic Frontier Foundation; KICTANet, Kenya; Open Net Korea და Tactical Tech). ამას გარდა, პრინციპები დაიხვეწა კონსულტაციების სერიის შედეგად, რაც ორგანიზებული იყო „მე-19 მუხლის“ (Article 19) მიერ მაღალი დონის ექსპერტების მონაწილეობით აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ევროპიდან და აზიიდან: აქტივისტები, სამართლის პრაქტიკოსები, აკადემიის წარმომადგენლები და სხვა ექსპერტები საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართლის, გამოხატვის თავისუფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის კანონის დარგში. კონსულტაციები მოიცავდა ერთ ექსპერტულ შეხვედრას სან ფრანცისკოში 2016 წლის 28-29 მარტს და გლობალურ საჯარო კონსულტაციას, რომელიც ინტერნეტ სივრცეში 2016 წელს გაეშვა. ამას გარდა, შეხვედრიდან და გლობალური კონსულტაციიდან გამომდინარე პრინციპების სამუშაო ვერსიის გარშემო ასევე მოეწყო უფრო ფართო განხილვები. პრინციპების საბოლოო ვარიანტი შემუშავდა ამ კონსულტაციების გათვალისწინებით.

„მე-19 მუხლი“ (Article 19) აფასებს ყველა იმ პიროვნებისა და ორგანიზაციის შენატანს და დახმარებას, რამაც ხელი შეუწყო ამ პრინციპების შემუშავებას.

ეს პრინციპები შემუშავდა ფორდის ფონდისა (Ford Foundation) და ღია საზოგადოების ფონდის ინსტიტუტის (Foundation Open Society Institute) დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ღია საზოგადოების ფონდის დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის პროგრამასთან თანამშრომლობით. ფორდის ფონდი და ღია საზოგადოების ინსტიტუტი შესაძლოა არ ეთანხმებოდნენ პრინციპებში გამოთქმულ მოსაზრებებს.

პრინციპების შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „მე-19 მუხლი“ (Article 19).